

შპს უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია

ვაკანსიის დასახელება: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

შპს „უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია“ აცხადებს ვაკანსიას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პოზიციაზე.

➤ ძირითადი მოვალეობები/ფუნქციები:

ხელმძღვანელობს და წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას, რომელიც არის დაწესებულების მმართველი რგოლის სტრუქტურული ერთეული. იგი ეხმარება რექტორს უმაღლესი სასწავლებლის მართვაში და მისი დანიშნულებაა განახორციელოს ღონისძიებები სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის სისტემატური სრულყოფისათვის, იზრუნოს აკადემიური პერსონალის პროფესიული დონის მუდმივ ზრდაზე და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა.

სამსახურის უფროსი:

პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე; ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესაბამის მითითებებს და დავალებებს, აკონტროლებს სამსახურის თანამშრომლების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

წარმართავს დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებულ საქმიანობას; უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების ხარისხის შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავების პროცესს, მათ შორის – საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით;

უზრუნველყოფს დაწესებულების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, ასევე ამ საქმიანობაში ჩართული პერსონალის განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას;

ორგანიზებას უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის თვითშეფასების პროცესებს;

მონაწილეობს უმაღლესი განათლების საერთაშორისო სივრცეში დაწესებულების ჩართულობის ხელშეწყობის პროცესებში.

➤ საკავლიფიკაციო მოთხოვნები:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სასურველია სამეცნიერო ხარისხი;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ ან/და აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით;
- "ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)" 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა;
- ბოლონის პროცესის შესახებ ზოგადი ცოდნა;
- უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი აქტების ცოდნა;
- "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
- "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი;

- "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
- "ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება;
- ქართულად გამართულად წერის და კომუნიკაციის უნარი;
- სასურველია ინგლისურ ან რუსულ ენაზე წერის და კომუნიკაციის უნარი;
- საოფისე პროგრამების ცოდნა.

პიროვნული თვისებები

- მართვის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- მოტივირებული წინსვლაზე და განვითარებაზე;
- მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ რეზიუმე ელ. მისამართზე: info@acad.edu.ge და სათაურის ველში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება. რეზიუმეების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2018 წლის 15 ოქტომბერი.